www.mediators.ge

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია

საინფორმაციო ბიულეტენი

იანვარი-აპრილი

2023

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია

სარჩევი

სასამართლო მედიაციის ცენტრების კოორდინატორების სამუშაო შეხვედრა..... 5

კიდევ ერთი ახალი სასამართლო მედიაციის ცენტრი გაიხსნა დედოფლისწყაროს რაიონულ სასამართლოში 6

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან ერთად შეხვედრების ციკლი - საუბრები ადვოკატებთან მედიაციაზე - დაიწყო..... 7

საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, რეგიონებში მოსახლეობასთან შეხვედრები დაიწყო 8

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წევრებისათვის ტრენინგი გაიმართა, სახელწოდებით- მედიატორი-საქმის მენეჯერი 9

ევროპის საბჭოს ეგიდით პროექტი -"დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების ხელშეწყობა საქართველოში“ დაიწყო, რომლის მიზანია ქვეყანაში მართლმსაჯულების მიმართულებით ალტერნატიული მექანიზმების განვითარება 10

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია მონაწილეობას იღებდა გაეროს ბავშთა ფონდის (UNICEF) მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში..... 11

ახალციხის რაიონულ სასამართლოში მედიაციის ცენტრი გაიხსნა..... 12

საქართველოს მედიატორთა ასოციციამ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, გასვლითი სამუშაო შეხვედრა და ჯგუფური შეკავშირების ტრენინგი გამართა..... 13

საუბრები ადვოკატებთან მედიაციაზე, საქართველოს მედიატორთა ასოციაცია, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან ერთად, შეხვედრების ციკლს აგრძელებს 14

საქართველოს მედიარორთა ასოციაციამ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონკურსში გამარჯვებული 7 სტუდენტი სტაჟირებით დააჯილდოვა..... 15

ევროპის ადვოკატთა ასოციაციის (AEA-EAL) მედიაციის კომიტეტის ეგიდით, გაიმართა ვებინარი თემაზე- ადვოკატის როლი მედიაციის პროცესში 16

საქართველოს მედიატორთა ასოციაციასა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა 17

საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ მონაწილეობა მიიღო ინტელექტუალური საკითრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) არბიტრაჟისა და მედიაციის ცენტრისა და საქპატენტის თანაორგანიზებით დაგეგმილ ვებინარში, რომელიც დავების გადაწყვეტის ალტერნატიულ მეთოდებს შეეხებოდა..... 18

საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, მედიატორთა განგრძობადი პროფესიული განათლების ფარგლებში შეიმუშავა მედიაციის ეთიკის სავალდებულო ტრენინგ პროგრამა.... 19

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე, ირაკლი ყანდაშვილი და ასოციაციის ადმინისტრაციის თანამშრომლები, საპატრიარქოში შეხვედრაზე იმყოფებოდნენ 20

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე, ირაკლი ყანდაშვილი, ბათუმის სასამართლო მედიაციის ცენტს ესტუმრა..... 21

არასასამართლო მედიაციის განვითარების პროექტი 22

ტრენინგი მედიატორთა განგრძობადი პროფესიული განათლების ფარგლებში... 23

კონფერენცია - "შრომითი უფლებები სამოქალაქო საზოგადოებისთვის“ 24

საქართვალოს მედიატორთა ასოციაციის ოფისში აფხაზეთის სახელობის სამედიაციო დარბაზი გაიხსნა 25

სასამართლო მედიაციის ცენტრები თითქმის საქართველოს ყველა რეგიონში და 184 მედიატორი,რომელთა რიცხვი დღითიდღე იზრდება 26

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია აშშ-ში სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდა 27

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წევრები , ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს დავით ზალკანიანს შეხვდნენ 28

სასამართლო მედიაციის ცენტრების კოორდინატორების სამუშაო შეხვედრა

საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის - მედიაციის ინსტიტუციური გაძლიერების და განვითარების პროექტის - მხარდაჭერით, სასამართლო მედიაციის ცენტრების კოორდინატორებისათვის, სამუშაო ფორმატში შეხვედრა გამართა.

მონაწილეებს მიესალმნენ მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე, ირაკლი ყანდაშვილი და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ADR-ის მიმართულებით მრჩეველი, სოფო ტყემალაძე.

რეგიონული სასამართლო მედიაციის ცენტრების კოორდინატორებს ირაკლი ყანდაშვილმა საკუთარი ხედვები გააცნო და ცენტრების გამართულად მუშაობის აუცილებლობაზე ისაუბრა.

სამუშაო შეხვედრა, კოორდინატორებთან დისკუსიის რეჟიმში გაგრძელდა, მონაწილეებმა ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს, მედიაციის ცენტრებში არსებულ გამოწვევებზე და მათი გადაჭრის გზებზე ისაუბრეს.

სასამართლო მედიაციის ცენტრების კოორდინატორები სამუშაო შეხვედრაზე საერთო მართვის ფორმაზე და სტანდარტზე შეჯერდნენ. დაიგეგმა სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის ფორმატი, რაც კოორდინატორებს ინფორმაციის მარტივად გაცვლაში დაეხმარება.

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია, სასამართლო მედიაციის ცენტრებისთვის, ნებისმიერი საკითხის კოორდინირებაში იქნება ხელშემწყობი.

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

კიდევ ერთი ახალი სასამართლო მედიაციის ცენტრი გაიხსნა დედოფლისწყაროს რაიონულ სასამართლოში

"საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარემ გიორგი მიქაუტაძემ და დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ გიორგი ბუხრაშვილმა, დედოფლისწყაროს რაიონულ სასამართლოში მედიაციის ცენტრი გახსნეს.

ქვეყანაში კიდევ ერთი მედიაციის ცენტრი მხარდამჭერი და ნეიტრალური გარემოს შექმნას ემსახურება, სადაც მხარეები მედიაციის საშუალებით შეძლებენ სწრაფად და მშვიდობიანად მოაგვარონ თავიანთი უთანხმოება.

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია გეგმავს საქართველოს მაშტაბით, კიდევ ახალი მედიაციის ცენტრების გახსნას.

სასამართლო მედიაციის ცენტრების გამართულად ფუნქციონირება ქვეყანაში სოციალური მშვიდობის დამყარებას შეუწყობს ხელს .

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან ერთად შეხვედრების ციკლი - საუბრები ადვოკატებთან მედიაციაზე - დაიწყო

საუბრები ადვოკატებთან მედიაციაზე

შეხვედრას საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე, ირაკლი ყანდაშვილი და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ADR-ის მიმართულებით მრჩეველი, სოფო ტყემალაძე უძღვებოდნენ.

ასევე სპეციალურად მოწვეულები იყვნენ ადვოკატები , თეა ჭეიშვილი და ირაკლი კორძახია, რომლებსაც დიდი გამოცდილება აქვთ მედიაციაში წარმომადგენლობის და ხშირად კლიენტებს მედიაციას ურჩევენ. მათ საკუთარი გამოცდილება და ხედვები გაუზიარეს ადვოკატებს, რომლებსაც ჯერ არ ქონიათ მსგავსი პრაქტიკა, ასევე ისაუბრეს მედიაციის აუცილებლობაზე, მნიშვნელობასა და როლზე.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ირაკლი ყანდაშვილმა განმარტა , რომ ადვოკატები მედიაციაში უნდა იყვნენ ეფექტური წარმომადგენლები და სწორად მიიტანონ ინფორმაცია კლიენტამდე.

შეხვედრა საინტერესო დისკუსიის და კითხვა- პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

მსგავსი შეხვედრები მომავალშიც იგეგმება, რადგან შესაძლებელი იყოს მედიაციის შესახებ ადვოკატთა ფართო წრის სწორი და საფუძვლიანი ინფორმირებულობა.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST · WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, რეგიონებში მოსახლეობასთან შეხვედრები დაიწყო

ამ ინიციატივის მიზანია საზოგადოებაში მედიაციის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

პირველი შეხვედრა რუსთავში გაიმართა, რომელსაც საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავნმჯდომარე, ირაკლი ყანდაშვილი და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ADR-ის მიმართულებით მრჩეველი, სოფიო ტყემალაძე უძღვებოდნენ.

მათ სიტყვით მიმართეს ადგილობრივ მოსახლეობას, ისაუბრეს მედიაციის მნიშვნელობასა და საჭიროებაზე, შეხვედრა ძალიან საინტერესო და აქტუიური კითხვა - პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია გეგმავს მთელი საქართველოს მაშტაბით მსგავსი შეხვედრების გამართვას.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წევრებისათვის ტრენინგი გაიმართა, სახელწოდებით- მედიატორი-საქმის მენეჯერი



ტრენინგი განგრძობადი პროფესიული განათლების ფარგლებში მიმდინარეობდა, რომელიც

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის - მედიაციის ინსტიტუციური გაძლიერების და განვითარების პროექტის - მხარდაჭერით ხორციელდება.

მონაწილეებს მიესალმნენ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, თამარ იმნაიშვილი და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ADR-ის მიმართულებით მრჩეველი, სოფიო ტყემალაძე.

ტრენინგს თბილისის საქალაქო სასამართლოს, მედიაციის ცენტრის ხელმძღვანელი, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წევრი, ელენე ორჯონიკიძე უძღვებოდა.

შეხვედრა ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობდა, რომელსაც მედიატორები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ესწრებოდნენ.

ტრენინგზე ისეთი მნიშვნელოვან თემები განიხილეს, როგორებიც არის მედიატორის არჩევა /დანიშვნა, თანამედიაცია და მხარეებთან კომუნიკაცია, ასევე საუბარი იყო მედიაციის ვადებთან დაკავშირებულ საკითხებზე. მედიატორებმა შეხვედრაზე პრაქტიკული სავარჯიშოებიც შეასრულეს.

აღნიშნული ტრენინგი მომავალშიც გაიმართება და მასში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა ასოციაციის ყველა წევრს ექნება.

ევროპის საბჭოს ეგიდით პროექტი -"დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების ხელშეწყობა საქართველოში“ დაიწყო, რომლის მიზანია ქვეყანაში მართლმსაჯულების მიმართულებით ალტერნატიული მექანიზმების განვითარება

ევროპის საბჭოს პროექტის პირველი მმართველი კომიტეტის შეხვედრა გაიმართა, სადაც მონაწილეობას საქართველოს მედიატორთა ასოციაციასთან ერთად მართლმსაჯულების პროცესში ჩართული სხვადასხვა ორგანიზაციებიც იღებდნენ.

შეხვედრის მონაწილეებს, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ირაკლი ყანდაშვილმა, დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს, განრიდებისა და მედიაციის დეპარტამენტის უფროსმა, მორის ბარამიამ და ევროპის საბჭოს წარმომადგენელმა, საქართველოს და აზერბაიჯანის სამმართველოს ხელმძღვანელმა, მაჰირ მუშტეიდზადამ მიმართეს.

ირაკლი ყანდაშვილის განცხადებით ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან დავის მოგვარების ალტერნატიული საშუალების დანერგვა საქართველოში, სოციალური მშვიდობის დამყარებას შეუწყობს ხელს.

შეხვედრაზე პროექტის ძირითადი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განიხილეს და პროექტის 6 თვიანი გეგმის პრეზენტაცია წარადგინეს .

მედიაციის მიმართულებით დაგეგმილია სასწავლო მოდულების შემუშავება და მედიაციის შესახებ ცნობიერების ამაღლებისთვის კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება.

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია მონაწილეობას იღებდა გაეროს ბავშთა ფონდის (UNICEF) მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში.

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია

საქართველოში ბავშვებზე მორგებული მართლმსაჯულების რეფორმის მხარდაჭერის ფარგლებში, გაეროს ბავშვთა ფონდმა შეიმუშავა და წარადგინა ანალიზი „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება საქართველოში - განხორციელების კონცეფცია".

გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ მომზადებული ანგარიში ასახავს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების დანერგვისკენ გადადგმულ ნაბიჯებს და შეიცავს პრაქტიკულ რეკომენდაციებს იმ გამოწვევების გადასაჭრელად, რომლებიც აფერხებენ ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სრულად უზრუნველყოფას საქართველოში.

სამუშაო შეხვედრაზე საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა, თამარ იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს მედიატორთა ასოციაციისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მედიაციის პროცესში ბავშთა უფლებებთან დაკავშირებული საკითხები, ასოციაცია დაფუძნების დღიდან ზრუნავს ბავშთა უფლებების მიმართულებით მედიატორების კვალიფიკაციის ამაღლებაზე , იმისათვის რომ მედიაციის პროცესში ბავშვების ფსიქო-ემოციური მდგომარეობა მეტად დაცული იყოს.

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია გაეროს ბავშთა ფონდთან აქტიურად თანამშომლობს და ჩართულია სხვადასხვა აქტივობებში.

ახალციხის რაიონულ სასამართლოში მედიაციის ცენტრი გაიხსნა

კიდევ ერთი ახალი სასამართლო მედიაციის ცენტრი, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ირაკლი ყანდაშვილმა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარემ, გიორგი მიქაუტაძემ და ახალციხის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ანაიტ ოგანესიანმა გახსნეს.

სასამართლო მედიაციის ცენტრები მხარდამჭერი და ნეიტრალური გარემოს შექმნას ემსახურება, სადაც მხარეები მედიაციის საშუალებით შეძლებენ სწრაფად და მშვიდობიანად მოაგვარონ თავიანთი უთანხმოება.

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია მთელი საქართველოს მაშტაბით გეგმავს ახალი სასამართლო მედიაციის ცენტრების გახსნას, ცენტრების გამართულად ფუნქციონირება ქვეყანაში სოციალური მშვიდობის დამყარებას შეუწყობს ხელს.

საქართველოს მედიატორთა ასოციციამ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, გასვლითი სამუშაო შეხვედრა და ჯგუფური შეკავშირების ტრენინგი გამართა

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

შეხვედრაზე მონაწილეებს სიტყვით მიმართეს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ირაკლი ყანდაშვილმა და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ADR-ის მიმართულებით მრჩეველი, სოფო ტყემალაძემ.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელმა საბჭომ, ასოციაციაში არსებული მიმდინარე საკითხები განიხილა და მედიაციის შესახებ კანონში შესატან ცვლილებების პაკეტზე იმსჯელა. შეხვედრაზე საზოგადოებაში მედიაციის შესახებ ცნობიერების ამაღლების აუცილებლობაზეც გამახვილდა ყურადღება.

ასევე ძალიან საინტერესოდ წარიმართა ჯგუფური შეკავშირების ტრენინგი, სადაც საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ადმინისტრაციამ და საბჭოს წევრებმა მიიღეს მონაწილეობა.

საუბრები ადვოკატებთან მედიაციაზე, საქართველოს მედიატორთა ასოციაცია, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან ერთად, შეხვედრების ციკლს აგრძელებს



ამჯერად შეხვერდა ქუთაისში გაიმართა, რომელსაც ამ რეგიონში მოქმედი ადვოკატები ესწრებოდნენ. პროექტი, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით ხორციელდება და მიზნად ისახავს მედიაციის შესახებ ცნობადობის გაზრდას.

შეხვედრა, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ირაკლი ყანდაშვილმა და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ADR-ის მიმართულებით მრჩეველმა, სოფო ტყემალაძემ გახსნეს.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ირაკლი ყანდაშვილმა ადვოკატებს მედიაციის აუცილებლობაზე, მნიშვნელობასა და როლზე ესაუბრა, ასევე განმარტა, რომ ადვოკატები მედიაციაში უნდა იყვნენ ეფექტური წარმომადგენლები და სწორად მიიტანონ ინფორმაცია კლიენტამდე.

შეხვედრა საინტერესო დისკუსიის და კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. მსგავსი შეხვედრები მომავალშიც იგეგმება, რადგან შესაძლებელი იყოს მედიაციის შესახებ ადვოკატთა ფართო წრის სწორი და საფუძვლიანი ინფორმირებულობა.

საქართველოს მედიარორთა ასოციაციამ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონკურსში გამარჯვებული 7 სტუდენტი სტაჟირებით დააჯილდოვა

სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს მომხმარებელთა უფლებების დაცვის სასამართლო და მედიაციის, იმიტირებულ პროცესებში, მანამდე კი გაიარეს ტრენინგი სამართლებრივ წერაში, საპროცესო დოკუმენტების შედგენასა და მედიაციაში

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია ყოველთვის მზადყოფნას გამოთქვავს მონაწილეობა მიიღოს ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლების პროფესიულ განვითარებაში.

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია

ევროპის ადვოკატთა ასოციაციის (AEA-EAL) მედიაციის კომიტეტის ეგიდით, გაიმართა ვებინარი თემაზე- ადვოკატის როლი მედიაციის პროცესში

ვებინარი ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობდა, რომელიც ევროპის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტმა , მარია სლაზაკმა გახსნა.

ღონისძიებას საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე , ირაკლი ყანდაშვილი უძღვებოდა, რომელიც ასევე ევროპის ადვოკატთა ასოციაციის მედიაციის კომიტეტის თავმჯდომარეა.

ვებინარში მონაწილეობას იღებდნენ ადვოკატები და მედიატორები სხვადასხვა ქვეყნიდან, რომლებმაც გამოცდილება გაუზიარეს ერთმანეთ და ისაუბრეს იმ გამოწვევებზე რაც ამ სფეროში არსებობს.



საქართველოს მედიატორთა ასოციაციასა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

საქართველოს მედიატორთა ასოციაციასა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

დოკუმენტს, საქართველოს მედიატორტა ასოციაციის თავმჯდომარემ , ირაკლი ყანდაშვილმა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრმა იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში, ნანა გაბელიამ მოაწერეს ხელი.

მემორანდუმი ითვალისწინებს მედიაციის პოპულარიზაციის მიზნით ერთობლივი ღონისძიებების, მრგვალი მაგიდის, კონფერენციებისა და სხვა აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას, აფხაზეთიდან დევნილ საზოგადოებაში მედიაციის შესახებ ცნობადობის ამაღლებას, მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის დანერგვასა და პოპულარიზაციას.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ მონაწილეობა მიიღო ინტელექტუალური საკითრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) არბიტრაჟისა და მედიაციის ცენტრისა და საქპატენტის თანაორგანიზებით დაგეგმილ ვებინარში, რომელიც დავების გადაწყვეტის ალტერნატიულ მეთოდებს შეეხებოდა

ღონისძიება გაიმართა WIPO-სა და სსიპ - ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტს" შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში.
ვებინარზე, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ , ირაკლი ყანდაშვილმა, საქართველოში მედიაციის პროცესის პრინციპებსა და მორიგების ხელშეკრულებების აღსრულების შესახებ, პრეზენტაცია წარადგინა.

ღონისძიებაზე გაზიარებული იყო WIPO-ს მედიაციისა და არბიტრაჟის ცენტრის საქმიანობის პრაქტიკა, ასევე, განიხილეს WIPO-ს მედიაციის წესები და პრინციპები, რომლებიც მედიაციის პროცესში ეფექტიანობის მისაღწევად გამოიყენება.

WIPO-ს ექსპერტების მიერ გაზიარებული საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, შეხვედრაზე ასევე განიხილეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში მედიაციის დანერგვის პერსპექტივები.

აღსანიშნავია, რომ WIPO-ს არბიტრაჟისა და მედიაციის ცენტრის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მედიაციის საშუალებით ინტელექტუალური საკუთრების დავების 70% მორიგებით სრულდება. ამ მექანიზმის მნიშვნელობას ხაზს უსვამს ის გარემოებაც, რომ WIPO-ს არბიტრაჟისა და მედიაციის ცენტრის მომსახურებას რეგულარულად იყენებენ საერთაშორისო კორპორაციები, მცირე და საშუალო საწარმოები, სტარტაპები, ასევე, კვლევისა და განვითარების ცენტრები, უნივერსიტეტები, ხელოვანები, გამომგონებლები და მწარმოებლები მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, მედიატორთა განგრძობადი პროფესიული განათლების ფარგლებში შეიმუშავა მედიაციის ეთიკის სავალდებულო ტრენინგ პროგრამა

ტრენინგ პროგრამის საფუძველზე მოქმედი მედიატორებისთვის ჩატარდა მედიაციის ეთიკის პირველი ტრენინგ კურსი, რომელსაც უძღვებოდნენ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე ირაკლი ყანდაშვილი და ამავე ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, მედიატორი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი ნათია ჩიტაშვილი.

ტრენინგ კურსის ფარგლებში, მედიატორთა პროფესიული ქცევის სტანდარტების ჭრილში განზოგადებულ იქნა ქართული სამედიაციო პრაქტიკა, განხილულ იქნა ეთიკის მნიშვნელობა მედიაციის პროფესიად ფორმირებაში, წარმოჩინდა მედიატორის ეთიკის სტანდარტების პროცესუალური შინაარსი და გაზიარდა მედიატორთა მიერ ეთიკური დილემების მართვის სტრატეგიები და რეკომენდაციები. მედიაციის ეთიკის განგრძობადი პროფესიული განათლების კურსი სავალდებულოა ყველა მოქმედი მედიატორისთვის, რაც ემსახურება მედიაციის ეთიკური მდგრადობისა და სანდოობის გაძლიერებას, პროფესიული ქცევის სტანდარტების ერთგვაროვან დამკვიდრებას და კეთილსინდისიერ რეალიზებას სასამართლო და კერძო მედიაციაში.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე, ირაკლი ყანდაშვილი და ასოციაციის ადმინისტრაციის თანამშრომლები, საპატრიარქოში შეხვედრაზე იმყოფებოდნენ

საქართველოს
მედიატორთა
ასოციაცია

შეხვედრაზე ირაკლი ყანდაშვილმა, ასოციაციის საქმიანობაზე და მედიატორთა მუშაობის სპეციფიკაზე ისაუბრა, აგრეთვე ყურადღება გაამახვილა ასოციაციის მიზნებზე და გეგმებზე.

საპატრიარქოში შეხვედრაზე აღინიშნა, რომ შემწყნარებლობის პოპულარიზაციის საჭიროება წამდვილად არსებობს და სოციალური დიალოგის დამკვიდრება აუცილებელია , მათი თქმით მორიგების ინსტიტუტი ღვთისნიერი საქმეა და ზუსტად ამას ემსახურება მედიატორთა საქმიანობა, რაც საპატრიარქოსთვის სასიხარულო და მისასალმებელია. საქართველოს მედიატორთა ასოციაცია და მედიატორთა პროფესია სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, ილია მეორემ დალოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე, ირაკლი ყანდაშვილი, ბათუმის სასამართლო მედიაციის ცენტს ესტუმრა

ირაკლი ყანდაშვილმა, ახალ მედიატორებს პროფესიაში შემოსვლა მიულოცა და წარმატებები უსურვა, ასოციაციის თავმჯდომარემ მედიატორებს მოწმობები და სამკერდე ნიშნები გადასცა .შეხვედრას სასამართლო მედიაციის ცენტრის კოორდინატორი და მედიატიორები ესწრებოდნენ.

2022 წლის დეკემბრიდან, აჭარის რეგიონში, ქ. ბათუმში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობის ბაზაზე, სასამართლო მედიაციის ცენტრი მოქმედებს.

რეგიონებში სასამართლო მედიაციის ცენტრების გახსნა ემსახურება საზოგადოებისათვის მხარდამჭერი და ნეიტრალური გარემოს შექმნას, სადაც მხარეებს მიეცემათ შესაძლებლობა მაღალი კვალიფიკაციის მქონე მედიატორების დახმარებით სწრაფად და მშვიდობიანად მოაგვარონ თავიანთი უთანხმოება.

არასასამართლო მედიაციის განვითარების პროექტი

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია მხარს უჭერს საქართველოში, არასასამართლო მედიაციის მექანიზმის ეფექტურ ამოქმედებას, რადგან არასასამართლო მედიაციის სისტემის ეფექტური საქმიანობა წარმოადგენს წინაპირობას სამოქალაქო კატეგორიის მოდავე მხარეებისთვის გვერდი აუარონ სამართალწარმოებას და ურთიერთობების ერთმანეთს შორის შემდგომ გართულებას, ასევე ხელს უწყობს პოტენციური სასამართლო წარმოების პრევენციას მოდავე მხარეებს შორის, რაც წინაპირობაა სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების უზრუნველყოფის მოდავე მხარეებისთვის და ხარისხიანი მართლმსაჯულების რეალიზების საქართველოში.

აღნიშნული მიზნების მიღწევის ფარგლებში საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში, უნივერსიტეტის დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების ცენტრთან ერთად პირველი მსგავსი პროექტი დაიწყო ააიპ „ჩემი ადვოკატის“ სამსახურთან, რომელთა მხრიდან რეფერირებადი არასასამართლო დავების მედიაციის გზით რეგულირება ხორციელდება უნივერსიტეტის ცენტრის ბაზაზე, სადაც პრაქტიკოსი მედიატორები დავის მხარეებს ეხმარებიან კონფლიქტის შეთანხმებით დასრულებაში.

აღნიშნული პროექტი წარმატებით მიმდინარეობს და მომართულ სამედიაციო საქმეთა 50% უკვე შეთანხმებით დასრულდა. პროექტის ფარგლებში არაერთ მედიატორს მიეცა საშუალება, მოდავე მხარეთა არჩევის შემთხვევაში, ჩართულიყვნენ არასასამართლო მედიაციის პროცესში და სასიხარულოა რომ პროექტი წარმატებით მიმდინარეობს.

მიმდინარე პროექტში აქტიურად არიან ჩართული მედიატორები, ვისაც უშუალოდ დავის მხარეები არჩევენ მედიატორის სტატუსით, ხოლო ასოციაციის წევრები მარინა ბერაძე, როგორც ააიპ „ჩემი ადვოკატის“ დირექტორი და მედიატორი ნინა გერსამია, როგორც მედიაციის საუნივერსიტეტო ცენტრის ხელმძღვანელი წარმატებით უძღვებიან პროექტის ეფექტურ მსვლელობას.

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია გამოხატავს მზაობას მსგავსი სახის არასასამართლო მედიაციის განვითარების პროექტებში აქტიურად ჩაერთოს სამომავლოდ.

ტრენინგი მედიატორთა განგრძობადი პროფესიული განათლების ფარგლებში



ტრენინგი მედიატორთა განგრძობადი პროფესიული განათლების ფარგლებში მიმდინარეობდა და მას საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წევრი, ლაშა კალანდაძე უძღვებოდა.მონაწილეებს მიესალმნენ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, თამარ იმნაიშვილი და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ADR-ის მიმართულებით მრჩეველი, სოფიო ტყემალაძე.

ტრენინგზე განიხილეს პრაქტიკაში არსებული პრობლემური საკითხები, ისაუბრეს სასამართლო და არასასამართლო მედიაციაზე , სავალდებულო თუ ნებაყოფლობითი ხასიათის მედიაციაზე, ასევე სამედიაციო მორიგების აღსრულებასა და პირობებზე.

შეხვედრა საინტერესო დისკუსიისა და კითხვა- პასუხის რეჟიმში გაგრძელდა, აღნიშნული ტრენინგი მომავალშიც ჩატარდება და მასში ყველა მედიატორს ექნება შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს.

კონფერენცია - "შრომითი უფლებები სამოქალაქო საზოგადოებისთვის“

.
სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ - სოფიო დუღაშვილმა მონაწილეობა მიიღო კონფერენციაზე - "შრომითი უფლებები სამოქალაქო საზოგადოებისთვის“, რომელიც გაიმართა იუსტიციის სასწავლო ცენტრის და “შვედეთის კურსდამთავრებულთა ქსელის საქართველოში” ორგანიზებით.

სოფიო დუღაშვილმა მონაწილეებს გაუზიარა პრეზენტაცია თემაზე: მედიაცია, როგორც შრომითი დავების გადაწყვეტის ეფექტიანი საშუალება“ და ისაუბრა მედიაციის ქართულ მოდელზე და მის უპირატესობებზე, დავის გადაწყვეტის სხვა მექანიზმებთან მიმართემაში. ღონისძიების დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები. „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ მუდამ მზად არის საქართველოში მედიაციის განვითარების მიზნებიდან გამომდინარე ითანამშრომლოს და მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა კონფერენციაში.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ოფისში აფხაზეთის სახელობის სამედიაციო დარბაზი გაიხსნა



საქართვალოს მედიატორთა ასოციაციის ოფისში აფხაზეთის სახელობის სამედიაციო დარბაზი გაიხსნა. აფხაზეთის სახელობის ოთახი საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ირაკლი ყანდაშვილმა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრმა იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში, ნანა გაბელიამ საზეიმოდ გახსნეს. აფხაზეთის სახელობის დარბაზში სამედიაციო პროცესები გაიმართება.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციისთვის აფხაზეთის დარბაზის გახსნა ძალზედ მნიშვნელოვანი და სიმბოლურია, დიალოგის გზით დავის მოგვარება ის აუცილებელი პირობაა , რაზეც მედიაციის პროცესი დგას, სწორედ დიალოგი აფხაზ თანამოქალაქეებთან, არის ის ერთადერთი გზა, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს შერიგებამდე.

სასამართლო მედიაციის ცენტრები თითქმის საქართველოს ყველა რეგიონში და 184 მედიატორი,რომელთა რიცხვი დღითიდღე იზრდება

გორი

ბოლნისი

ახალციხე

დედოფლისწყარო

მცხეთა

ბათუმი

თელავი

ბურჯაანი

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია აშშ-ში სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდა

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე , ირაკლი ყანდაშვილი და ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრები ამერიკის შეერთებულ შტატებში, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ვიზიტორთა ლიდერობის პროგრამის IVLP ფარგლებში იმყოფებოდნენ.

პროექტში საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ჩართულობა მხარდაჭერილი იყო USAID-ის მიერ. სამ კვირიანი სასწავლო ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა ვაშინგტონში, სამხრეთ კაროლინას შტატში, ნევადას შტატში და ჩიკაგოში, პროგრამის მონაწილეები ამერიკის მართლმსაჯულების სისტემაში ჩართულ პროფესიონალებს- მოსამართლეებს, ადვოკატებს და მედიატორებს შეხვდნენ.

შეხვედრები მიზნად ისახავდა მედიაციის შესახებ ცოდნის გაცვლასა და გაზიარებას, ამერიკელმა კოლეგებმა ასოციაციის წარმომადგენლებს ის გამოცდილება გაუზიარეს, რაც მედიაციის მიმართულებით აშშ-ში არსებობს, რა გამოწვევები ჰქონდათ და როგორ გაუმკლავდნენ მათ, ასევე განიხილეს და იმსჯელეს ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიც არის საზოგადოებაში მედიაციის, როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მიმართულებით ნდობის მოპოვება და გაზრდა, პროფესიული განვითარების, სერტიფიცირების და ეთიკის მხრივ რა სტანდარტები არსებობს და რა როლი აქვს მედიაციას აშშ-ს სამართლებრივ სისტემაში. შეხვედრებზე ასევე დიდი დრო დაეთმო სასამართლო და კერძო მედიაციის შესახებ პროფესიული გამოცდილების გაზიარებას.

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს მადლობას უხდის ასეთი მნიშვნელოვანი შესაძლებლობისთვის, პროგრამის ფარგლებში საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წარმომადგენლებმა მნიშვნელოვანი პროფესიული ცოდნა და გამოცდილება მიიღეს , რომელიც საქართველოში მედიაციის ინსტიტუციურ გაძლიერებას და განვითარებას შეუწყობს ხელს.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წევრები, ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს დავით ზალკანიანს შეხვდნენ

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარეს, ირაკლი ყანდაშვილს და ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრებს ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა დავით ზალკანიანმა უმასპინძლა.

შეხვედრა, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წევრების აშშ-ში სასწავლო ვიზიტის დროს შედგა.

მიღების დროს ასოციაციის თავჯდომარემ, ირაკლი ყანდაშვილმა მედიაციის მნიშვნელობასა და როლზე ისაუბრა და მედიატორთა ასოციაციის სამომავლო გეგმებზე გაამახვილა ყურადღება, ელჩმა აღნიშნა, რომ მედიაცია დავის გადაწყვეტის უალტერნატივო მექანიზმია და მისი განვითარება საქართველოში ძალზედ მნიშვნელოვანია.

დავით ზალკალიანმა საქართველოს მედიატორთა ასოციაციას, მედიაციის ინსტიტუციურ განვითარებაში შეტანილი უდიდესი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა და წარმატებები უსურვა.

2023 წლის აპრილში საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე, ირაკლი ყანდაშვილი და ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრები ამერიკის შეერთებულ შტატებში, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის - საერთაშორისო ვიზიტორთა ლიდერობის პროგრამის IVLP ფარგლებში იმყოფებოდნენ